## საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1987 წლის 28 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კვლავ განიხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ“.

კამათში მონაწილეობდნენ: ამხანაგები ა. ა. გრომიკო, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვ. ს. კოსტინი — კემეროვოს ოლქის პროკოპიევსკის ქვანახშირის მოპოვების საწარმოო გაერთიანების „ზიმინკას“ შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, გ. ვ. კოლბინი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ი. მანიაკინი — სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. იაგოდინი — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, თ. ვ. პოპოვი — სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. სოლომენცევი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. პ. ტიხომიროვი — მოსკოვის ვლადიმერ ილიას ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის ხარატი, ა. თ. პონომარიოვი — სკკპ ბელგოროდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. მ. ველიჩკო — სსრ კავშირის ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის მინისტრი, ჯ. ი. პატიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ა. ულიანოვი — რუსეთის ფედერაციის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, დ. კ. მოტორნი — უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ს. ლ. სოკოლოვი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, ი. ა. კვიცინსკი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თ. ტ. მორგუნი — უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. პ. გრიშკიავიჩუსი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. მესიაცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ბ. უსმანხოჯაევი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. დოლგიხი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ა. მ. მასალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. სიტნიკოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

პლენუმმა მიზანშეწონილად ცნო მოიწონოს როგორც საფუძველი სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის პროექტი, ამასთან გაითვალისწინა შემდგომში გამოიტანოს იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ამხ. ნ. ნ. სლიუნკოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ნ. იაკოვლევი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა ამხ. ა. ი. ლუკიანოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

მიღებულია გადაწყვეტილება განთავისუფლდეს ამხ. დ. ა. კუნაევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

პლენუმმა ამხ. მ. ვ. ზიმიანინი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 იანვარი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 20 (9431) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



დღეს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება 1986 წლის სპორტული შედეგების შემაჯამებელი

## სპორტული ზეიმი

წარმოდგენილ იქნება კულტურულ-სპორტული სანახაობის ვრცელი პროგრამა.
დასაწყისი 19 საათზე.

## სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში დამთავრდა ქვეყნის პირადი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. დილით ჩატარებული ნახევარფინალური ასპარეზობების შემდეგ გაიმართა ფინალური შეხვედრები, რომლებიც გვიან ღამით დამთავრდა. ქვეყნის 1987 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ვაჟებში — ბორის როზენბერგმა (ოდესა), ქალებში ფლიურა ბულატოვამ (მოსკოვი); ვაჟთა წყვილებში — ვალენტინ დვორაკმა და ალექსანდრე სტადმიჩენკომ (უკრაინა); ქალთა წყვილებში — ვალენტინა პოპოვამ (ბაქო) და რაისა ტიმოფეევამ (მოსკოვი); შერეულ წყვილებში პოპოვამ და იგორ პოდნოსოვმა (რსფსრ).

დაკომპლექტდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც თებერვლის მეორე ნახევარში დელიში მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებს.



ბორის როზენბერგი



ფლიურა ბულატოვა

ხვალ თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობა

# შემდგომი მასობრიობისათვის

გვესაუბრება საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლუდვიგ ხარბედია

საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVII ყრილობაზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მშრომელთა გაჯანსაღებისა და ფიზიკურად სრულყოფის საკითხს. 1985 წლის 12 ივნისის ცნობილმა დადგენილებამ „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ პროფკავშირების წინაშე ახალი ამოცანები დასახა. განვლილ პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად პროფკავშირის კომიტეტებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ამ მიმართებით. გაიზარდა მათი როლი იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვაში, ფიზიკური კულტურის მასობრიობის შემდგომი ამაღლებისათვის ზრუნვაში.

პროფკავშირულ ორგანიზაციებში ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებში, ფიზკულტურულ კოლექტივებში ყურადღებით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და კონკრეტული ღონისძიებები დასახეს მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭო ყურადღებას არ აკლებს მშრომელთა გაჯანსაღების საკითხებს. მარტო 1987 წელს ამ საქმეს რესპუბლიკაში 18 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდება, რაც 4,5 მილიონი მანეთით აღემატება 1983 წლის მონაცემებს. ამავე დროს ყრილობებს შორის პერიოდში პროფკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას. თბილისში მწყობრში ჩადგა სასტუმრო „ამირანი“, რომელიც ძირითადად სპორტსმენებს ემსახურება, საექსპლუატაციოდ გადაეცა სპორტული კომპლექსები სიღნაღში, ხობში, მესტიაში, დიდ ჯიხაიშში, ონში, კასპში, საგარეჯოში და სხვაგან. რეკონსტრუქცია ჩაუტარეს და სასტუმროები მიაშენეს ქუთაისისა და ბათუმის საცურაო კომპლექსებს. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ რაიონებში ადგილობრივი ორგანიზაციების დაინტერესებამ და კოოპერირებით მონაწილეობამ სპორტბაზების დროულად და ხარისხიანად ჩაბარების საშუალება მოგვცა.

გასულ წელს პროფსაბჭოს პრეზიდიუმზე დამტკიცდა XII ხუთწლედში სპორტული ბაზების პერსპექტიული მშენებლობის გეგმა. სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად დაგეგმილია 100-ზე მეტი ახალი სპორტნაგებობის მშენებლობა, რომელთა ღირებულება 40 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ჩვენ კარგად გვესმის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობას. ეს პრინციპული საკითხია და წინსვლის დაჩქარების აუცილებელ პირობად მიგვაჩნია. ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა პროფკავშირების, ცალკეული სამინისტროების, უწყებების, ცალკეული რეგიონების ხელმძღვანელების, სპორტკომიტეტების ურთიერთთანამშრომლობა. მიზანი ერთია — ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობა.

1986 წლის ბოლოს სპორტსაზოგადოებათა წევრების რიცხვმა 2 მილიონს მიაღწია, რაც 1983 წელთან შედარებით 300 ათასით მეტია. საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებათა დაფინანსებაც. მომავალი წლისათვის პროფკავშირული ორგანიზაციები ამ მიზნით 18 მილიონ მანეთზე მეტს გაიღებენ, მათ შორის 8 მილიონზე მეტი სასწავლო-სპორტულ ღონისძიებებს მოხმარდება. 1983 წელს ამ მიზნით შესაბამისად 14,2 და 6,7 მილიონი მანეთი იყო გათვალისწინებული.

პროფკავშირების მთავარი ამოცანა მშრომელთა გაჯანსაღებაა. სტატისტიკური მონაცემებით დღეისათვის მხოლოდ მილიონამდე ადამიანია ჩაბმული სისტემატურ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში; მართალია, სპორტნაგებობათა გამტარუნარიანობა მხოლოდ ნახევარს თუ დააკმაყოფილებს, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური პირობები, სხვა უწყებები და გამოუყენებელი სპორტბაზები ჯერ კიდევ დიდი რეზერვია. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა სპორტბაზებით უზრუნველყოფას აგროსამრეწველო გაერთიანების პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტი. მარტო 1985-86 წლებში რაიონებში მწყობრში ჩადგა სპორტული ნაგებობები, რომელთა საერთო ღირებულება 7 მილიონს აღემატება, ამან კი შესაძლებლობა მოგვცა ათასობით მშრომელისათვის შეგვექმნა გამაჯანსაღებელ მოძრაობაში მონაწილეობის პირობები.

რამდენიმე ათეული სპორტული სკოლიდან 17-ს აგროსამრეწველო მუშაკთა პროფკავშირი აფინანსებს. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი: ჩვენს სპორტსკოლებში აღიზარდნენ ცნობილი სპორტსმენები საიდა გუმბა, გია ჩოგოვაძე, ირინა გერასიმოვა, თენგიზ თედორაძე, კახაბერ სამხარაძე, ვლადიმერ გოგოლაძე, მაია აზარაშვილი, ვლადიმერ აფციაური, ზაურ ივანიშვილი, ამირან ტოტიკაშვილი, გურამ გედეხაური, ქრისტინა ფალასანიდი, ლევან ბასილაშვილი, ეგია მუსოიანი...

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტული დელეგაციის მიერ მოპოვებული მედლების ნახევარი პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების წილად მოდის. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: მაია აზარაშვილი (ორი ოქროს მედალი), ვლადიმერ გოგოლაძე (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს მედლები), გიორგი ჩოგოვაძე (ოქროს და ბრინჯაოს მედლები). მანამდე გამართულ ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში პროფკავშირების წარმომადგენლებმა მოიპოვეს 13 ოქ-

იხ. მე-2-3 გვ.

## დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლის მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში რ. ნ. პახიკაშვილი ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

## „ლანჩხუთის ახალმშენებელთა აჯ-კარგი“

ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ საქინფორმის კორესპონდენციასთან დაკავშირებით (მასში საუბარი იყო ზოგიერთ ნაკლზე ლანჩხუთის სტადიონის, სასტუმროსა და სხვა სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქციის საქმეში) საქართველოს საბინაო კომუნალური მეურნეობის მინისტრი ამხ. ნ. ნეფედოვი გვაცნობებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

სამინისტროს კოლეგიამ სპეციალურად იმსჯელა ლანჩხუთის სასტუმრო „გურიის“ რეკონსტრუქციის სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, დაისახა სამუშაოების დაჩქარებისა და ხარისხიანად შესრულების კონკრეტული ღონისძიებები. ამჟამად მშენებლობა უზრუნველყოფილია საჭირო სამშენებლო მასალებით, მაღალკვალიფიციური მუშახელით; შემუშავებულია სამუშაოთა წარმოების გრაფიკი, რომლის განხორციელებისადმი დაწესებულია მკაცრი კონტროლი.

სამუშაოების გაჭიანურებისა და უხარისხოდ შესრულებისათვის „საქკომუნრემმშენის“ № 1 ტრესტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს ბ. კვანტალიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და გაფრთხილებული იქნა, რომ თუ უმოკლეს ვადაში არ განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, სამუშაოების ტემპის გაძლიერებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დაისმება თანამდებობაზე მისი ყოფნის მიზანშეუწონლობის საკითხი.

მხედველობაშია მიღებული, რომ სამუშაოთა მწარმოებელი ა. ფირცხალაიშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

მინისტრის მოადგილის ა. ჟურაშვილის, „საქკომუნრემმშენის“ № 1 და „საქკომუნსპეცმშენის“ ტრესტების უფროსების ზ. ლეკვეიშვილის და თ. ადამაშვილის ყურადღება მიექცა ლანჩხუთის სასტუმროს რეკონსტრუქციის სამუშაოებისადმი სუსტი კონტროლის განხორციელებას. მათვე დაეკისრა პირადი პასუხისმგებლობა სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის. (საქინფორმი).

# შემდგომი მასობრიობისათვის

(დასასრული)

როს მედალი (რესპუბლიკის სპორტსმენთა მიერ მოგებული 19 მედლიდან), 8 ვერცხლისა (20-დან) და 12 ბრინჯაოსი (ასევე 20-დან).

საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVII ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ნათქვამი იყო, ჯანმრთელობას აფთიაქში ვერ ვიყიდითო. ამ სიტყვების შინაარსის სიღრმე ყველას კარგად ესმის. ადამიანის ჯანმრთელობა ჩვენში ხომ ქვეყნის ყველაზე ძვირფას საგანძურადაა მიჩნეული. ავადმყოფობით სამუშაოს გაცდენის გამო დიდ ზარალს განვიცდით, პროფკავშირული ორგანიზაციები კი ქვეყანაში 7 მილიარდ მანეთზე მეტს ხარჯავენ შრომის დროებითი უუნარობისათვის დახმარების ასანაზღაურებლად. ეს დამაფიქრებელი ფაქტია. ამასთან დღევანდელი საწარმოო სიმძლავრეები გაცილებით მეტ დაძაბულობასთან, პასუხისმგებლობასთან, სიზუსტესა და ფსიქოლოგიურ დატვირთვასთან არის დაკავშირებული. გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის მუდმივი ამაღლების ფაქტორიც. სრულყოფილი ჯანმრთელობის გარეშე თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მუშაობა და მოვალეობის შესრულება ძნელია ან შეუძლებელიც კი ხდება. ამ საკითხის მოგვარება ყველა კოლექტივს დამოუკიდებლად არ შეუძლია.

დავძენ, რომ რესპუბლიკაში ფიზკულტურული კოლექტივების თითქმის მესამედს საკუთარი სპორტული ბაზები არ გააჩნია. დღეს კი პრაქტიკულად დადგა საკითხი, რომ ადამიანმა თავისი „ჯანმრთელობის მარაგი" იცოდეს, იზრუნოს ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის. აქვე უნდა ითქვას, რომ კეთილმოწყობილ სპორტბაზებზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მეცადინეობისათვის გადასახადი მინიმალურია (2-5 მანეთი თვეში), მიღებული სიმხნევე და შრომისუნარიანობა კი — გაცილებით მეტი. ჯანმრთელობის შენარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე ავადმყოფობის შემდეგ მისი აღდგენა. ამასთან ჯანმრთელობა მარტო პირადი საქმე როდია, იგი საზოგადოებრივი აუცილებლობაც გახლავთ. სააბონემენტო შემოსავალი დღეს პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. ფასიანი ფიზკულტურული ღონისძიებების შემოსავალთან ერთად 1986 წელს საერთო შემოსავალმა თითქმის 3 მილიონ მანეთს მიაღწია. აქედან ნაღდი შემოსავალი 1 მილიონ 200 ათას მანეთზე მეტია. ჯანმრთელობის 540-მდე ჯგუფში, რომლებიც 10 ათას მომეცადინეს აერთიანებენ, შემოსავალმა თითქმის 140 ათასი მანეთი შეადგინა. 1983 წლის გეგმასთან შედარებით საერთო შემოსავალი თითქმის ორჯერ გაიზარდა. ამასთან ერთად მიმდინარე წლიდან ყველა რაიონის ახალაგებულ სპორტბაზებზე გაიხსნება სააბონემენტო ჯგუფები. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები „კოლმეურნე" და „განთიადი" უფრო ენერგიულად ეკიდებიან აღნიშნული საკითხების მოგვარებას, სხვები კი შედარებით ჩამორჩნენ. პროფკავშირების სპორტნაგებობათა სამმართველომ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მოსახლეობის ფასიან მომსახურებაში. მაქსიმალურადაა დატვირთული „ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსის ბაზები. ბევრი გამაჯანსაღებელი ჯგუფი მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში და ქუთაისის საცურაო აუზზე. კეთილმოეწყო და გამართულად მუშაობს სიღნაღის სპორტული კომპლექსი, რომელიც რაიონში სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის კერად გადაიქცევა.

მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ ბევრი რეზერვი გვრჩება აუმოქმედებელი და გამოუყენებელი. არის პრობლემები, რომელთა გადაუჭრელობაც ხელს გვიშლის შესაძლებლობების სრულად გამოყენებაში. ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, რომ ყველა სპორტულ ბაზაზე იყოს სათანადო სპორტული ინვენტარი. ბევრგან მოსაგვარებელია გათბობის, ცხელი წყლის მიწოდების საკითხი, დახვეწას მოითხოვს მომსახურება და ა. შ. ადგილობრივ ხელმძღვანელებთან ერთობლივი მეცადინეობით ამ პრობლემებს უთუოდ გადავჭრით.

## ხვალ თბილისში მუშაობას იწყებს სხვა...

# ვიმუშაოთ სრულ...

ბიბლიოთეკა

**თავიდანვე შევთანხმდით, რომ თავდაპირველად ყრილობიდან ყრილობამდე განვლილ პერიოდში მიღწეულ წარმატებებზე ვისაუბრებდით, ხოლო შემდეგ იმ ნაკლოვანებებსაც შევეხებოდით, რაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და ხელს გვიშლის წინსვლის გზაზე, პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებებს ხომ უდიდესი შესაძლებლობები აქვთ მშრომელთა, სტუდენტთა და მოსახლეობის ფართო ფენებს შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. საუბარში მონაწილეობდნენ: რესპუბლიკის პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების თავმჯდომარეები ზურაბ კუტალაძე („განთიადი"), ოთარ კალაძე („კოლმეურნე"), ნუგზარ ერაძე („ბურევესტნიკი"), თამაზ ქობულაძე („ლოკომოტივი"), გივი მძელური („ზენიტი"), აკაკი მეგრელაძე („სპარტაკი"), საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ჟაკა ქურდიანი.**

**ზ. კუტალაძე:** თავს არ შეგაწყენთ კონკრეტული ციფრობრივი მონაცემებით და გეტყვით, რომ სპორტში სისტემატურად მომეცადინეთა, მშდ ნიშნოსანთა, მასობრივ თანრიგოსანთა და ტურიზმის, ჯანმრთელობის, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში, აგრეთვე საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულ წევრთა რაოდენობის ზრდა წინა წლებთან შედარებით თვალსაჩინოა. მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნების თანახმად გადაისინჯა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების, ამ საზოგადოებას დაქვემდებარებული ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების მასობრივ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა, განახლდა რესპუბლიკური საბჭოს მიერ ჩატარებულ სპორტმასობრივ ღონისძიებათა გეგმაც. ამ ღონისძიების გატარების შედეგად ეტაპობრივი სპორტული ასპარეზობების — სხვადასხვა პირველობებისა და ჩემპიონატების შემცირების ხარჯზე იმატა მასობრივ-გამაჯანსაღებელი ხასიათის შეჯიბრებებმა. საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებების მეშვეობით, რომლებიც ახალი ბაზების მშენებლობასა და არსებულთა რეკონსტრუქციას ითვალისწინებენ, აშენდა და შეკეთდა 8 კომპლექსური სპორტული მოედანი, 4 ტირი, 2 ღია საცურაო აუზი, 2 მინისტადიონი და სხვა ობიექტები.

საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციები შეფობას უწევენ საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებსა და საერთო საცხოვრებლებს ეხმარებიან მათ სპორტული კლუბების შექმნაში, ხელმძღვანელობენ რბენისა და რიტმული ტანვარჯიშის მოყვარულთა ჯგუფებს. გაუმჯობესდა სააბონემენტო ჯგუფების მომსახურება — თხუთმეტმა ასეთმა ბაზამ 1986 წელს 104 000 მანეთი შემოსავალი მოგვცა. აღსანიშნავია, რომ რუსთავის საწარმოო გაერთიანებების „ქიმბოჭკოსა" და „აზოტის", აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" ფიზკულტურელთა ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა მეგობრულ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. რუსთაველებს რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საწარმო-დაწესებულებებმაც მიბაძეს. ჩამოყალიბდა 34 ჯანმრთელობის კლუბი, სპორტული ბაზები შეემატა ჩვენი რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ობიექტებს — საწარმოო გაერთიანება „განთიადს", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, ქუთაისის ავტოქარხანას.

**ო. კალაძე:** „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო ამჟამად 2500-ზე მეტ ფიზკულტურულ კოლექტივში 800 000-მდე საზოგადოების წევრს და 435 ათასზე მეტ ფიზკულტურელს აერთიანებს. ჯანმრთელობის ჯგუფებში მომეცადინეთა და ტურიზმის მოყვარულთა რიცხვი 1981 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა და 130 ათასი გახდა. „კოლმეურნის" 2869 სპორტულ ბაზაზე ყოველდღე 120 ათას ფიზკულტურელს შეუძლია ივარჯიშოს.

მეთერთმეტე ხუთწლედში აშენდა 3 სტადიონი, 2 საცურაო აუზი, 15 სპორტდარბაზი, 2 სასროლეთი და სხვა ობიექტები, რომელთა საბალანსო ღირებულება 7 მილიონ მანეთს შეადგენს.

შარშან ახალმოსახლეობა იზეიმეს ახმეტელმა, ვანელმა, ველისციხელმა, თიანეთელმა, პანკისელმა და გურჯაანელმა ფიზკულტურელებმა — მათთვის ახალი სპორტული დარბაზები აშენდა. წელს ლენტეხში, ამბროლაურში და ქარელში მწყობრში ჩადგება საჭიდაო დარბაზები, [illegible] — [illegible] და სასტუმრო, ბაკურიანში — სათხილამურო ბაზა, ხახარაძეში — სპორტსმენთა სასტუმრო.

ლანჩხუთის „გურიის" წარმატება პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს. ყველანი მოუთმენლად ველით ლანჩხუთის სტადიონის რეკონსტრუქციის დასრულებას. არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ საქსახაგრომრეწვის კომიტეტი, რომელმაც ამ გუნდის პატრონობა იკისრა.

**ნ. ერაძე:** ბოლო წლებში სტუდენტური სპორტის აღმავლობისთვის ბევრი რამ გაკეთდა — აღარ ირღვევა სპორტული კალენდარი, გაუმჯობესდა მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების ხარისხი, კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან ერთად მოეწყო სტუდენტური თამაშები, გაიმართა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადები, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების საქალაქო შეჯიბრება, რაც მთავარია, შეიცვალა რექტორატების დამოკიდებულება სტუდენტური სპორტისადმი, შესამჩნევად გამოცოცხლდა სასწავლებელთა სპორტული ცხოვრება.

**თ. ქობულაძე:** განვლილ ხუთწლეულში 25 ათასით გაიზარდა საზოგადოების წევრთა რაოდენობა. სულ უფრო მეტი მუშა-მოსამსახურე მონაწილეობს ტურისტულ ლაშქრობებში, გაიზარდა საწარმოო ტანვარჯიშის მიმდევართა რაოდენობაც. გახსნილია 192 გამაჯანსაღებელი ჯგუფი, რომლებშიც 11600 მუშა-მოსამსახურეა გაერთიანებული, შეიქმნა სამი კლუბი მშრომელთა ინ-

# ტურიზმის ინდუსტრიის პერსპექტივები



**ტურიზმისა** და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა XI ხუთწლედის დავალებები. მაღალი ტემპია აღებული XII ხუთწლედის პირველ წელს, რომლის შედეგებიც ახლახან შეჯამდა. შარშან ამ დარგში მოგებამ 9725 ათასი მანეთის ნაცვლად 10500 ათასი მანეთი შეადგინა.

რესპუბლიკაში ტურისტულ-საექსკურსიო საქმიანობა უკვე სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად იქცა. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ მომსახურების მოცულობით ჩვენი რესპუბლიკა ორჯერ სჭარბობს ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკას ერთად აღე-



ბულს. ამასთან, ჩვენი მაჩვენებლები გაცილებით მაღალია, ვიდრე მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამის მონაცემთა ჯამი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 15 იანვრის დადგენილება „საქართველოში 1986-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდში ტურიზმის განვითარებისა და მოსახლეობის ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ" ახალ ამოცანებს გვისახავს. მიმდინარე ხუთწლედში გეგმაზომიერად სრულდება დარგის მატერიალური ბაზის განმტკიცების გეგმა, რომელიც მეცნიერულად დასაბუთებული „ტურიზმის განვითარების პერსპექტიული გეგმიდან" გამომდინარეობს. მარტო 1986 წელს, მოქმედ ობიექტებს შეემატა ბათუმის მაღლივი ტურისტული სასტუმრო — 646 კაცისთვის გათვალისწინებული, ვანისა (100 ადგილზე) და რუსთავის ტურბაზები (76). სულ მიმდინარე ხუთწლედში კაპიტალდაბანდებით გაიხარჯება 45 მილიონი მანეთი, აქედან არსებული ობიექტების რეკონსტრუქციას და კეთილმოწყობას 26 მილიონი მანეთი მოხმარდება.

დიდი ყურადღება ეთმობა საოჯახო დასვენებას. მიმდინარე წლიდან შოვის ტურბაზაზე გამავალი საკავშირო მარშრუტები ონის ტურბაზაშია გადატანილი. მეტად პოპულარული შოვის ტურბაზა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას, კერძოდ, მთელი ოჯახით დასვენების მსურველთ მოემსახურება. მთლიანად რესპუბლიკაში ამ კატეგორიის ტურისტთა მომსახურება ერთიორად გაუმჯობესდება. ამჟამად მუშავდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 1987-88 წლებში დაიწყება სურამის, შეკვეთილის, ზესხოს, შატილისა და გრიგოლეთის სეზონური ტურბაზების მშენებლობა.

გრიგოლეთის ტურბაზა, უკვე ექსპლუატაციაში შესულ ლანჩხუთის სასტუმროსთან ერთად, შესანიშნავ ტურისტულ კომპლექსს შექმნის, ხოლო შატილის ბაზა ქვეითი და საცხენოსნო მარშრუტების განვითარებას შეუწყობს ხელს.

ჩვენი რესპუბლიკა საცხენოსნო ტურისტული მარშრუტების დაარსების ერთ-ერთი პიონერია. ერთმა ამ მარშრუტთაგანმა (ქუთაისი-ლეჩხუმი) მიმდინარე წელს საკავშირო თანრიგი მიიღო. სათაფლიისა და ნავენახევის კეთილმოწყობილ მღვიმეთა კომპლექსების რესპუბლიკური საბჭოს ბალანსზე გადმოცემამ საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა ჩვენს ქვეყანაში პირველი, სპეციალიზირებული სპელეომარშრუტი, რომელიც, გარდა დასახელებულისა, ვარძიის, შიომღვიმისა და ახალი ათონის მღვიმეების დათვალიერებასაც ითვალისწინებს. ეჭვი არ არის, რომ მარშრუტი პოპულარული გახდება.

არანაკლებ საინტერესოა რესპუბლიკაში პირველი საწყლოსნო ტურისტული მარშრუტი: ნავებით მოგზაურობა მდინარე რიონზე — ვანიდან ფოთამდე, „ძველი არგონავტების ნაკვალევზე".

თბილისელთა და ცხინვალელთა საყვარელ დასასვენებელ ცენტრებად იქცა ლისის ტბისა და ცხინვალის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები, რომელთა მუშაობის შინაარსი ტურისტულ-ფიზკულტურული და კულტურულ-მასობრივი მუშაობის სინთეზს წარმოადგენს და, ამდენად, სკკპ ცენტრალური კომიტეტს ცნობილი დადგენილების მოთხოვნებს პასუხობს.

რა დასამალია და, აქამდე მასობრივი, თვითმოქმედი ტურიზმის განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. შარშანდელი წელი ამ მხრივაც გარდატეხის პერიოდი აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

დავიწყოთ იმით, რომ შარშან, წლის ბოლოს შეიქმნა ახალი ტურისტული კლუბები ჭიათურაში, ვანსა და თელავში. ამ ხნის მანძილზე ვანის ტურისტული კლუბი უკვე იქცა რაიონის ტურიზმის მოყვარულთა, უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობის თავშეყრის საყვარელ ადგილად, თვითმოქმედი ტურიზმის საორგანიზაციო-მეთოდურ ცენტრად, აქ სისტემატურად ტარდება ქვეითი, სამთო და ველოლაშქრობები, შეკრებები და შეჯიბრებები, შექმნილია კინო და ფოტომოყვარულთა წრეები, რაიონის ხელმძღვანელობა ტურიზმის ენთუზიასტებს ყოველმხრივ ხელს უწყობს და ახალისებს.

წელს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს ვიზეიმებთ, ამიტომ წლევანდელი მასობრივ-ტურისტულ ღონისძიებათა კალენდარი საკმაოდ საინტერესოა. გათვალისწინებულ ღონისძიებათა უმრავლესობა, ტურიზმის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით, აფხაზეთში, ქუთაისში, ზესტაფონში, ვანში და სხვა რაიონებში ჩატარდება.

**ოთარ ბოზოხიძე,**
**ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ი უკუგებით

...ების გათვალისწინებით, დი-
...ყურადღება დაეთმო ახალი ბა-
...ის მშენებლობასა და ძველთა
...მონტებას — სამტრედიის „ლო-
...ტივის" სტადიონზე განახლდ-
...25-მეტრიანი საცურაო აუზი,
...მიემატება გასახდელები, საშხა-
...პეა სხვა სათავსოები. გარდა ამისა
...ება გათბობის სისტემაც. დაიწ-
...25-მეტრიანი აუზის მშენებლ-
...მეტრომშენის სპორტულ-გამა-
...ჯანსაღებელი კომპლექსის ტერიტ-
...ორიაზე, სარეკონსტრუქციო სამუ-
...შაები წარმოებს თბილისის „ლო-
...კომოტივის" სტადიონზე და საცუ-
...რაო აუზში. ქუთაისში გაიხსნა ბა-
...ვშვთა და მოზარდთა კრივის სპო-
...რტული სკოლა.

...მძელური: პირველ ყოვლისა,
...გაუმჯობესდა მატერიალურ-სპორტუ-
...ლი ბაზა. უკვე აშენდა 14 სპორტ-
...ული ობიექტი: საცურაო აუზი, სა-
...ჭიდაო დარბაზი, კალათბურთისა და
...ფრენბურთის დარბაზები, ჩოგბუ-
...რთის კორტები, მარტივი ტიპის მო-
...ედნები; გაიზარდა ფიზკულტურე-
...ლთა, კერძოდ, გამაჯანსაღებელ
...ჯგუფებში მომეცადინეთა, საწარ-
...მოო ტანვარჯიშის მიმდევართა, ტუ-
...რიზმის მოყვარულთა და მშდ ნი-
...შნოსანთა რაოდენობა; დაინერგა
...მუშაობის ახალი ფორმები, მოი-
...მატა სპორტული ინტერესების მი-
...ხედვით გაერთიანებულ მუშა-მო-
...სამსახურეთა და ახალგაზრდების
...რაოდენობამ. განსაკუთ-
...რებით ნაყოფიერად მუშაობს საა-
...ვიაციო ქარხანასთან ორი წლის
...წინ შექმნილი კულტურულ-სპორტ-
...ული კომპლექსი. ა. კოტრიკაძისა და
...ედიაშვილის სპორტული კლუ-
...ბები, რომლებიც მოზარდებისთვი-
...საა განკუთვნილი, მხარი დაუჭი-
...რეს რუსთაველთა ინიციატივას.

...მეგრელაძე: ფიზკულტურაში
...სისტემატურად მომეცადინეთა რი-
...ცხვი 20 000-მდე გაიზარდა, ხუთი
...წლის მანძილზე 478 000 მშდ ნიშნო-
...სანი და 375 000 მასობრივი თანრი-
...გოსანი მომზადდა, მნიშვნელოვნად
...გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექ-
...ნიკური ბაზა. მაგრამ ვგრძნობ, რომ
...ამ პრობლემების გადაჭრაზე ვი-
...ფიქრობთ. დიახ, ჯერ კიდევ ბევრი
...გვაქვს მოსაგვარებელი. უნდა
...გვეყოლოთ პროფკავშირების დარ-
...გობრივი სპარტაკიადების ჩატარე-
...ბის ორგანიზაცია, არც საშეფო მუ-
...შაობა გვაკმაყოფილებს.

...ქურდიანი: პრობლემები ბევ-
...რია, მაგრამ ვიდრე მათზე შევჩერ-
...დებოდეთ, ერთ საკითხზე მინდა
...გავამახვილო თქვენი ყურად-
...ღება. ფიზკულტურულ-გამაჯანსა-
...ღებელი მუშაობა პროფკავშირულ
...აქტივთა საქმიანობის ქვაკუთ-
...ხედია, ცხადია, მას სათანადო ყუ-
...რადღება უნდა მიაქციონ პროფკო-
...მიტეტებმაც. მაგრამ, სამწუხაროდ,
...ზოგიერთი პროფკომიტეტი მასობ-
...რივ ფიზკულტურაზე, მუშა-მოსამ-
...სახურეთა აქტიურ დასვენებაზე და
...ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნვას მთლი-
...ანად პროფკავშირულ სპორტსა-
...ზოგადოებათა მუშაკებს ანდობს ხო-
...ლმე, ეს მაშინ, როცა სულ უფრო
...მტკიცდებოდეს შრომისა და
...სპორტის კავშირი — ფიზკულტუ-
...რით მუშა-მოსამსახურეთა ჯანმ-
...რთელობის წყაროა, ჯანმრთელობა
...კი შრომისნაყოფიერების ზრდის
...ერთ-ერთი საშუალება. ამიტომ სა-
...წარმო-დაწესებულებათა ხელმძ-
ღვანელები, პროფკომიტეტები ფი-
ზკულტურულ-სპორტულ მუშაკებზე
ნაკლებად არ უნდა იყვნენ დაინ-
ტერესებული ისეთი აქტუალური სა-
კითხებით, როგორიცაა სპორტულ
ნაგებობათა ექსპლუატაცია, საწარ-
მოო ტანვარჯიშის დანერგვა, საცხო-
ვრებელი ადგილების მიხედვით ფი-
ზკულტურული მოძრაობის გაშლა,
სხვადასხვა სახის აღდგენითი კომ-
პლექსებისა და სპორტული პროფი-
ლის დასასვენებელ სახლთა მშენე-
ბლობა. „ჯანმრთელობის" რესპუბ-
ლიკური კლუბის არაერთგზის შეხ-
სენების მიუხედავად, საწარმო-დაწე-
სებულებათა ხელმძღვანელები და
პროფკომიტეტები სათანადო დახმა-
რებას არ უწევენ ადგილობრივ
კლუბებს. რესპუბლიკის სამინისტ-
როებისა და უწყებების საწარმოე-
ბში 3 ათასზე მეტი სპორტული ნა-
გებობაა, სადაც ზაფხულობით დღე-
ში 180 ათასი ადამიანი შეიძლება
შეიკრიბოს, მაგრამ მოუვლელ ფე-
ხბურთის მინდვრებს, დარბაზებსა
და მოედნებს, რომელთაც ასევე მო-
უწესრიგებელი გასახდელები და
საშხაპეები აქვთ, ხალხი არ ეტა-
ნება. გასულ ხუთწლედში პროფკა-
ვშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი
დიდი სპორტული ობიექტი ააშენეს
მესტიაში, საგარეჯოში, დიდ ჯიხა-
იშში, კასპში, თელავში, სიღნაღში,
ახმეტაში, ზუგდიდში, საბერიოში,
ჯვარში, ლანჩხუთში, მახარაძეში და
სხვაგან. მათ მშენებლობაზე 10 მილი-
ონზე მეტი მანეთი დაიხარჯა, მაგ-
რამ რამდენიც უნდა ვაშენოთ, მა-
სობრიობას ისე ვერ მივაღწევთ, თუ
მათი რაციონალური გამოყენება ვერ
ვისწავლეთ. შარშან საქართველოს
პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა
სამმართველოს 15 სპორტულმა კო-
მპლექსმა 2 მილიონამდე მანეთის
მოგება მოგვცა, მაგრამ სამინისტ-
როებისა და უწყებების სპორტულ
ნაგებობათა ხელმძღვანელებს ამ
მიმართულებით მეტის გაკეთება მა-
რთებთ.

**ა. მეგრელაძე:** რესპუბლიკურმა საბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივ საბჭოებს. მაგალითად, თავის დროზე შევასუსტეთ მოთხოვნები სამხრეთ ოსეთისა და თელავის საბჭოების მიმართ და „შედეგმაც" არ დააყოვნა: ჩამორჩა მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობა სამხრეთ ოსეთში, არ სრულდება გეგმები თელავში.

**ზ. კუტალაძე:** სუსტი საორგანიზაციო მუშაობისთვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს გურჯაანის და ახალციხის რაისაბჭოს თავმჯდომარეები გ. ზარდიაშვილი და ე. ჯანხოთელი, სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ნ. საბაძე. მკაცრი ადმინისტრაციული ზომებია მიღებული სხვა უგერგილო ფიზკულტურულ მუშაკების მიმართაც.

**ო. კალაძე:** ბოლო დროს შევამოწმეთ 14 რაიონული საბჭო, აქედან ცხრის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა: „ჩაჭრილ" რაისაბჭოს თავმჯდომარეებს ზოგს მკაცრად მიეთითა, ზოგს საყვედური გამოეცხადა, ზოგსაც სამსახურის დატოვება მოუხდა. კონტროლი და მომთხოვნელობა დიდი ძალაა, ბევრ ხარვეზს აგვაშორებს.

**თ. ქობულაძე:** იმის გამო, რომ სარკინიგზო კვანძებს ერთიანი სამეურნეო ხელმძღვანელი არა ჰყავს, ადრე გვიჭირდა ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის წარმართვა. ახლა გამოსავალს მივაგენით — „ლოკომოტივის" საგზაო საბჭო საკვანძო სადგურების პარტიულ კომიტეტებთან ერთად უძღვება სპორტულ საქმიანობას.

**ნ. ერაძე:** მოგეხსენებათ, როგორ გაიზარდა ადამიანთა მოთხოვნები, სპორტული ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხარისხი კი ხშირ შემთხვევაში ძალზე დაბალია: თუ დარბაზს საშხაპე არა აქვს, თუ ლამაზად, გემოვნებით არ არის გაფორმებული და რადიოფიცირებულიც არ არის, მერწმუნეთ, ახალგაზრდები არ ეტანებიან. სასურველია, უმაღლეს სასწავლებელთა სპორტულ კლუბებს აღუდგეთ მიმდინარე ანგარიში, ისინი დაკომპლექტდნენ შესაფერისი საშტატო ერთეულებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მშენებლობის საქმეს. ვფიქრობ, დროა ვაკე-საბურთალოს რეგიონში შეიქმნას ერთიანი სპორტული ბირთვი, სტუდენტური სასწავლო-სპორტული და გამაჯანსაღებელი ქალაქი, რომელიც დედაქალაქის იმ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს დაეთმობათ, რომელთაც კარგი სპორტული ბაზები არ გააჩნიათ. სპორტული ბაზების ნაკლებობა განსაკუთრებით შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობი.

**ვ. ქურდიანი:** მე მინდა დავუბრუნდე იმ საერთო პრობლემებს, რომელთა მოგვარება საგრძნობლად გაალონიერებს პროფკავშირულ სპორტს. პროფკავშირულ ორგანიზაციებს არ აძლევენ სამშენებლო ლიმიტს, არადა მშენებლობის დაფინანსება მათ შეუძლიათ. სპორტულ ნაგებობათა აღჭურვას თანამედროვე ინვენტარითა და ტრენაჟორებით ძალზე აფერხებს ის გარემოება, რომ სამინისტროებსა და უწყებებს უფლება არა აქვთ გადარიცხვით შეიძინონ ისინი. სპორტული ბაზების სრულად დასატვირთად აუცილებელია მომსახურე პერსონალისთვის გამოიყოს დამატებითი საშტატო ერთეულები. უნდა გაიზარდოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა კონტინგენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვიჭირდება მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლა, ჩვენს რესპუბლიკაში არ არის სპორტული ინვენტარის შესაკეთებელი არც ერთი საამქრო, ამიტომაც უქმად დგას ძვირადღირებული სპორტული ინვენტარი. უნდა გაუმჯობესდეს მათი სათადარიგო ნაწილებით მომარაგება.

მკაცრად უნდა მოეთხოვოთ პასუხი იმ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომელთა უყურადღებობისა და უგერგილობის გამო სპორტული ნაგებობები სავალალო დღეშია, ასობით მუშა-მოსამსახურეს კი საშუალება არა აქვს ისარგებლოს ფიზკულტურის სიკეთით. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ბანაკების სტაციონალური დისლოკაციის საკითხიც. მოზარდ სპორტსმენთა მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებს განსაკუთრებით უჭირთ სპორტული ბანაკების მოწყობა შავ ზღვაზე.





## მხოლოდ სტატისტიკა

● პროფკავშირული სპორტული საზოგადოებები აერთიანებს მილიონ 54 ათას ფიზკულტურელს, აქედან ნახევარ მილიონზე მეტი სპორტულ ბაზებზე მეცადინეობს.

● იმ დაწესებულებებში, რომელთაც პროფკავშირული სპორტული საზოგადოებები ემსახურებიან, შექმნილია 4633 ფიზკულტურული კოლექტივი.

● ციფრები შედარებისთვის—პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებებში მომზადდა: 1981 წელს — 6642 სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 1985 წელს — 7538, 1986 წელს — 7286, 1981 წელს—200 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 1985 წელს — 107, 1986 წელს — 87; 1981 წელს — 19 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 1985 წელს — 17, 1986 წელს — 12.

● საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია 806,2 ათასი მუშა-მოსამსახურე, 300 ათასით მეტი, ვიდრე 1981 წელს.

● საქართველოს პროფსაბჭოსთან შექმნილია საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისა და მშდ ფიზკულტურული კომპლექსის მეთოდური საბჭო.

● საცხოვრებელ ადგილებში ფუნქციონირებს 125 გამაჯანსაღებელი კლუბი, 1981 წელს რესპუბლიკაში მხოლოდ 53 ასეთი კლუბი იყო.

● გამაჯანსაღებელ სააბონემენტო ჯგუფებიდან შემოსულმა თანხამ 126235 მანეთი შეადგინა. 1981 წელს ასეთი შემოსავალი საერთოდ არ გვქონია.

● ტურიზმით გატაცებულთა რიცხვმა 159,4 ათასი შეადგინა, რაც 47 ათასით მეტია 1981 წელთან შედარებით.

● 1982 წელს მუშაობდა ბავშვთა და მოზარდთა 37 სპორტული სკოლა, 1986 წელს ამ სკოლების რიცხვმა ექვს ათეულს მიაღწია, ხოლო მომეცადინეთა კონტინგენტმა 22 ათასს გადააჭარბა. შარშან ამ სკოლებში სსრ კავშირის 82 სპორტის ოსტატი მომზადდა.






# „მეგობრობა" ბიულეტენთა წინააღმდეგ

...ცდახუთმეტრიანი ღია საცურაო
...ს, საჭყუმპალაოთი, მინიფეხბურ-
...ის, კალათბურთის, ფრენბურთის
...ის კომპლექსური მოედანი, საჭი-
...დაო დარბაზი გასახდელითა და სა-
...შხაპით, ნახერხმოყრილი საჭიდაო
...მოედანი ... უნის წიგნაკში
...ჩაიწერა ვ. ი. ლენინის სახელო-
...ბის ელმავალმშენებელი ქარხნის
...სპორტულ ნაგებობათა დათვალიე-
...რებისას. ქარხნის ფიზკულტურულ-
...სპორტული მუშაობის შესახებ უფ-
...რო დაწვრილებით მოგვითხრობს
...პროფკავშირების კომიტეტის თავმ-
...ჯდომარე ანზორ კალანდაძე:

— ქარხანაში ჩამოყალიბებულია
...მეტი სპორტული სექცია, გა-
...მაჯანსაღებელი ცურვისა და ჭიდა-
...ობის მოყვარულთა ორი კლუბი,
...ტურიზმის წრე. სპორტის ამ სახე-
...ობათა დანერგვით ვცდილობთ, რაც
...შეიძლება მეტი მუშა-მოსამსახურე
...ვაზიაროთ სპორტის სიკეთეს. ქარ-
...ხანაში ათასობით კაცი მუშაობს, აქ-
ედან უმრავლესობა სექციებშია გაერთიანებული.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ქარხნის სპორტულმა კლუბმა „მეგობრობამ" ორჯერ ზედიზედ, 1984 და 1985 წლებში, საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ტრუდის" საპატიო სიგელი მოიპოვა. შარშან მშდ ნორმატივები ჩააბარა 720-მა მუშამ. მომზადდა 566 მასობრივი თანრიგოსანი, 43 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი.

კარგ ამინდში ვაწყობთ მასობრივ ლაშქრობებს. უკვე ვიყავით ბაზალეთის ტბაზე, კიკეთში, ჩარგალში. ზამთარში რეგულარულად ტარდება შეკრებები ბაკურიანში — თხილამურებით გავდივართ კურორტის შემოგარენში. სპორტის ენთუზიასტებს გვეხმარებიან ელმავალმშენებელი ქარხნის გენერალური დირექტორი ზურაბ ჩივაძე და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საამწყობო საამქროს ბრიგადის ბრიგადირი გურამ მეტონიძე. ქარხნის დირექტორის ინიციატივით ყოველ შაბათ-კვირას ტარდება შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, გურამ მეტონიძის ბრიგადა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებებში.

ქარხნის პროფკავშირმა სპორტნაგებობათა შესაკეთებლად და ინვენტარის შესაძენად 1985 წელს გამოჰყო ექვსი ათასი მანეთი, შარშან — ათი ათასი, ხოლო წელს დაგეგმილი გვაქვს სპორტკლუბს თხუთმეტი ათასი მანეთი გადავურიცხოთ. ეს თანხა არ დაიკარგება. მისი უკუგება იქნება ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა. მაგალითად, 1985 წელთან შედარებით შარშან ქარხანაში ბიულეტენთა რაოდენობა 100 ერთეულით შემცირდა, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ 8,3% შეადგინა.

თორნიკე კობაიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაკრები ემზადება

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა პირველმა ნაკრებმა 27 იანვარს იტალიის დედაქალაქში საერთაშორისო საწვრთნელი მატჩი გამართა ადგილობრივ „რომასთან". ეს გუნდი იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად მე-5 ადგილზე იმყოფება.

საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 1:0, ბურთი 72-ე წუთზე გაიტანა ევტუშენკომ.

სტუმართა გუნდის შემადგენლობა: დასაევი, ბესონოვი (გოცმანოვი), ჩივაძე, ბალტაჩა (ევტუშენკო), დემიანენკო, კუზნეცოვი, იაკოვენკო, ზავაროვი, რაცი, ლიტოვჩენკო (ალეინიკოვი), ბლოხინი (პროტასოვი).

## მატჩი შვედებთან — თბილისში

**სსრ კავშირის** ნაკრები ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს 29 აპრილს გამართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან. სავარაუდოა, რომ ეს თამაში კიევში შედგება.

მანამდე ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი აქვს დაგეგმილი: 18 თებერვალს იგი სტუმრად შეხვდება უელსის ნაკრებს, ხოლო 18 აპრილს შინ მიიღებს შვეციის ეროვნულ გუნდს.

**18 აპრილის მატჩი სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს შორის შედგება თბილისში.**

## ფედერაციის თასზე

**შარშან** უმაღლესი ლიგის გუნდებმა გაითამაშეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი. ამგვარი შეჯიბრება მოეწყობა წლეულსაც, უმაღლესი ლიგის გუნდები დაიყოფიან 4 წინასწარ ჯგუფად, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ორორჯერ (შარშან მათ ჯგუფებში თითო თამაში ჰქონდათ).

წინასწარი შეხვედრების შემდეგ საუკეთესო ოთხეული გაითამაშებს ფედერაციის პრიზს. თასის გათამაშებაში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდების წევრები მიიღებენ სპორტის ოსტატთა წოდებას.

ფედერაციის თასის გათამაშება მოხდება იმ პერიოდში, როცა ზოგიერთ საბჭოთა კლუბს საერთაშორისო მატჩები ექნება. დანარჩენებს კი ესაჭიროებათ სათამაშო პრაქტიკა. ფედერაციის თასის ფინალი შედგება 21 ნოემბერს.

## საკონტროლო მატჩები არ შედგა

„ლელოს" სპეციალურმა კორესპონდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ გუშინ გაგრიდან გვაცნობა: 27 იანვარს თბილისის „დინამოს" პირველი შემადგენლობა ლესელიძეში უნდა შეხვედროდა მინსკის „დინამოს", ხოლო მეორე შემადგენლობა — ალმა-ათის „ქაირატს". ეს საკონტროლო მატჩები უამინდობის გამო არ შედგა. 31 იანვარს დაგეგმილია შეხვედრა ხარკოვის „მეტალისტთან".

## ჯ. ნერუს მემორიალი

**დელი.** სამხრეთ ინდოეთის ქალაქ კოჟიკოდში მიმდინარე ჯ. ნერუს საერთაშორისო მემორიალზე ბულგარეთის ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 (0:0) დაამარცხეს ინდოეთის ნაკრები. გამარჯვებულებს 2 მატჩის შემდეგ 4 ქულა აქვს, მათ უკვე გაინაღდეს ნახევარფინალის საგზური.

## 8 ბურთის სხვაობით

**კანზას-სიტი.** მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში თავიანთი ტურნეს პირველი მატჩი გამართეს ადგილობრივ „კომეტსთან". თამაში მიმდინარეობდა მინიფეხბურთის წესებით, გაიმარჯვა „კომეტსმა" — 11:3 (4:2).

**სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი, ჟურნალ „ოლიმპიისკაია პანორამას" მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი ევგენი გრინგაუტი ამ დღეებში თბილისში ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებს ესწრებოდა. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და სტუმარს ვთხოვეთ „ლელოს" მკითხველებისთვის მოეთხრო ლოზანაში გამართული ოლიმპიური კომიტეტის 91-ე სესიის მუშაობის შესახებ, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა.**



# როცა ნისლი გაიფანტა

**ოქტომბრის** იმ დღეებში ლოზანაში თბილოდა. შემოდგომის სუსხი მხოლოდ ღამღამობით შემოიპარებოდა ხოლმე და ჟენევის ტბას ნისლში ახვევდა. ნისლი ნელ-ნელა მოიწევდა ტბიდან და ტალღებად ევლებოდა დე ბოლიეს სასახლეს, სადაც მიმდინარეობდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 91-ე სესია. „ნისლი გაიფანტება და ოლიმპიურ მოძრაობაშიც რაღაც გაირკვევა" — ხუმრობდნენ ჟურნალისტები.

ყველაზე მეტად მათ 1992 წლის ოლიმპიური დედაქალაქის არჩევის საკითხი აღელვებდათ. ტრადიციულად, არჩევანი ოლიმპიადამდე 6 წლით ადრე უნდა მოხდეს. ზოგიერთი ჟურნალისტი ჩამოსული იყო მისიით, წარმოედგინა თავისი ქალაქის კანდიდატურა. ასეთი ქალაქი 13 აღმოჩნდა.

დელეგატები სხვადასხვა სასტუმროებში დაბინავდნენ. მაგალითად, ბარსელონელებმა „დელ ლა პე" დაიკავეს, ბირმინგემის წარმომადგენლებმა — „ანგლეტერი", სასტუმროს შესასვლელთან გამოფენილი იყო როგორც თეთრი ოლიმპიური, ისე ეროვნული დროშები, ყველაფერი ეს საბრძოლო შთაბეჭდილებას ტოვებდა. პრინციპში ასეც მოხდა. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პრეტენზია ერთბაშად შვიდმა ქალაქმა გამოთქვა: ალბერვილმა, ანკორიჯმა, ბერხტესგადენმა, კორტინა დ' ამპეცომ, ლილეხამერმა, სოფიამ და ფალუნმა.

თითოეული კანდიდატი ქალაქის დადებითი მხარეები არაერთგზის აღინიშნა, ხოლო უარყოფითი ყველაფერი საგულდაგულოდ იმალებოდა. მაგალითად, შვედები გაკვრით თუ ამბობდნენ, რომ სამთო-სათხილამურო თამაშების ჩატარება ფალუნიდან 400 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ ორეში მოუხდებოდათ.

ფრანგები და გერმანელები არ ტყდებოდნენ, რომ ალბერვილს და ბერჰტესგადენს ზამთრის ოლიმპიური დედაქალაქი მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ზამთრის თამაშების ორგანიზაციას აქაც ამ ქალაქებიდან დაშორებული რამდენიმე ალპური კურორტი თმობს. მაგრამ სპეციალისტების მოტყუება არც ისე ადვილი საქმეა! მათ აწონ-დაწონეს კანდიდატების ყველა შანსი და გამოიტანეს დასკვნა — სოფია! „ქალაქი მთაში, მთა ქალაქში" — ეს ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო შეჯიბრების კომპაქტურობისა. ერთიანი ოლიმპიური სოფელი, მცირე გადასასვლელი მანძილები, სოლიდური ტურისტული ნაკადი. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უნდა მიეღო.

აი, რატომ იყო, რომ ლოზანაში თითოეული „პარლამენტიორის" ხმაზე ნამდვილი „ნადირობა" გაიმართა.

ყველაზე მშვიდად ანკორიჯის დელეგაციას ეჭირა თავი. მათ კარგად იცოდნენ, რომ 1988 წელს კალგარის ასპარეზობის შემდეგ ზამთრის თამაშების მასპინძლობა რიგით ევროპას ეკუთვნოდა, ხოლო მათი შანსები მხოლოდ მომდევნო ოლიმპიურ ციკლში გაიზრდებოდა.

ზაფხულის თამაშების მასპინძლობის პრეტენდენტთა შორის ერთ-ერთ პირველ კანდიდატურად ბარსელონა დაასახელეს. და არა მარტო იმიტომ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი წარმოშობით ამ ქალაქიდანაა, ესპანეთი ერთადერთი დიდი ქვეყანაა, სადაც ჯერ არც ზამთრისა და არც ზაფხულის ოლიმპიადა არ ჩატარებულა. არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებინათ ისიც, რომ კატალონიის დედაქალაქის კანდიდატურა უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში ოთხჯერ იყო წამოყენებული. აი, ამიტომ იყო, რომ ბარსელონის ამორჩევას არავითარი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია, მაგრამ გულნაკლულნი მაინც დარჩნენ. მაგალითად ბირმინჰემელებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ არჩევნებზე დიდი გავლენა მოახდინეს „ადიდასმა" და სხვა სავაჭრო ფირმებმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბრიტანელებმაც კი აღნიშნეს, რომ ამჯერად ბარსელონის დამარცხება შეუძლებელი იყო.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა მეხუთე ტურში ხმების უმრავლესობა ალბერვილს მისცეს და ამით ეჭვქვეშ დააყენეს არჩევნების ლოგიკა. წესით, წარმატების დიდი შანსი ჰქონდა ფალუნს, რომელიც უკვე მესამედ დაასახელეს კანდიდატად. ფალუნში არის მსოფლიოში სახელგანთქმული ზამთრის სპორტული ცენტრი „ლუგნეტი", მაგრამ სამაგიეროდ მთები არ არის. ნუთუ ქვეყნის სწორი რელიეფის გამო შვეიცარიამ სამუდამოდ უარი უნდა თქვას თავის ოცნებაზე?

საერთაშორისო ფედერაციის სიმპათიებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ— ისინი სოფიას ეკუთვნოდა. მაშ რატომ გაუმართლა ალბერვილს, რომლის პრობლემები (პირველ ყოვლისა — ტრანსპორტი. შეჯიბრება ხომ მთის 11 სოფელში გაიმართება) ყველასათვის კარგად იყო ცნობილი?

ერთნი ამბობდნენ, რომ ფრანგებმა ეშმაკური ტაქტიკა აირჩიეს, როდესაც ერთდროულად ორი კანდიდატურა წამოაყენეს (პარიზი და ალბერვილი) და ამით ორჯერ გაზარდეს არჩევის შანსები. სხვები ახსნას ეძებდნენ საფრანგეთის დიპლომატიურ ნაბიჯში. არჩევნების ბოლოს ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო დეპეშა რესპუბლიკის პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანისგან, ხოლო სესიაზე ორივე კანდიდატურას წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრი ჟაკ შირაკი, რომელიც კარგად ერკვევა ოლიმპიურ პრობლემებში და, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს ესაუბრებოდა, ყველას სახელით მიმართავდა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ალბერვილს ძალიან „გულშემატკივრობდნენ" მდიდარი სამთო-სათხილამურო ფირმები. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ქალაქში ასპარეზობის ორგკომიტეტის თავმჯდომარეა წარსულში სახელგანთქმული მოთხილამურე ჟან კლოდ კილი, ცნობილი თავისი ურთიერთობით სპორტული ინვენტარის მსხვილ მწარმოებლებთან.

მართალია, სოფიამ არ მიიღო თამაშების ჩატარების უფლება, მაგრამ მაინც მოგებულია, რადგან 1994 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ერთ-ერთ პირველ კანდიდატად დარჩა.

სპორტის მოყვარულთ ალბათ გაუკვირდებათ — 1994 წელი ხომ ნაკიანი არ არის, მაშ რა ოლიმპიადაზეა ლაპარაკი? ახლავე აგიხსნით: ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება: „დააშოროს" ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ერთმანეთს. დაწყებული 1992 წლიდან, ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ერთმანეთს 2 წლით „დაშორდებიან". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზამთრის თამაშები 7 წლის განმავლობაში 3-ჯერ ჩატარდება: 1992, 1994 და 1988 წლებში.

ლენინგრადი? — ალბათ იკითხავთ. ნევისპირა ქალაქის კანდიდატურა 1996 წლისათვის წამოაყენეს, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით სწორედ ამ წლის თამაშები იქნება გამოტოვებული — შეჯიბრებები ორი წლით ადრე და ორი წლით გვიან ჩატარდება.

ახლა სიტყვა სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ეკუთვნის. მან უნდა აწონ-დაწონოს სიტუაცია.

ჯერჯერობით კი წინ 1988 წლის ზამთრის ოლიმპიადაა. ოლიმპიადის კანდიდატების შეკრება დაგეგმილია მაისში, სპორტსმენებს ამჟამად ლენინგრადი უმასპინძლებს.

**ევგენი გრინგაუტი,**
**სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი.**
**სპეციალურად „ლელოსათვის".**

# ახლა უკვე ნახევარფინალები

**ბადალონაში** გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ბოლო მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ „ხუვენტუდსა" (ესპანეთი) და მოსკოვის ცსკა-ს შორის. მასპინძლებს ერთობ ძნელი ამოცანა ჰქონდათ გადასაჭრელი — ბრძოლის გაგრძელების უფლებას ისინი იმ შემთხვევაში მიიღებდნენ, თუ მეტოქეს სულ ცოტა 40 ქულით აჯობებდნენ. მაგრამ ასეთი რამ ევროპის საკლუბო ტურნირების გადამწყვეტ ეტაპზე იშვიათად ხდება ხოლმე, უფრო მეტიც, ცსკა სრულებით არ აპირებდა ბრძოლის დათმობას და ესპანეთში საკმაოდ ოპტიმისტური გეგმებით გაემგზავრა.

პირველი ტაიმის დასაწყისში „ხუვენტუდის" უპირატესობა იგრძნობოდა. ერთხანს ისინი 10 ქულითაც კი დაწინაურდნენ, მაგრამ ენდენის, ტარაკანოვისა და განსაკუთრებით ტიხონენკოს ზუსტი სროლების წყალობით ანგარიში გათანაბრდა. ტაიმის მიწურულს კი უკვე არმიელები დაწინაურდნენ — 51:48.

შესვენების შემდეგ ინიციატივას მთლიანად ცსკა ფლობდა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 106:92.

ახლა მოსკოვის არმიელები იტალიის „სკავოლინის" ორჯერ შეხვდებიან (17 და 24 თებერვალს). მეორე ნახევარფინალური წყვილი ზაგრების (იუგოსლავია) „ციბონამ" და ვილერბანის (საფრანგეთი) „ასველმა" შეადგინა. ფინალური მატჩი 17 მარტს ნოვი-სადში (იუგოსლავია) გაიმართება.

# შეხვედრა ცოცხალ ჭადრაკთან

**დღეს** თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ სპორტის ზეიმზე პანტომიმის ქართული თეატრის (სამხატვრო ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი) მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ცოცხალი ჭადრაკი". არენაზე დაგებულ 64-უჯრიან დაფაზე ფიგურები გაითამაშებენ ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორის ვაჟა ნეიძის ორიგინალურ ეტიუდს, რომლის ამოხსნასაც ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ.

**ვ. ნეიძე**



**მოგება**

შავი პაიკის შეჩერება ძნელია, არვარგა. 1. კg3? e1ლ+ 2. კ:e1 ე:e1 ყაიმით. ამიტომ თეთრებს ყურადღება თავის გამსვლელ პაიკზე გადააქვთ. 1. c7+ მფd7 (და არა 2. ...მფc8 3. მge7+-ის გამო) .2. მf8+ მფc8. შავები ეტლს თმობენ, ხოლო სამაგიეროდ, ლაზიერი ქიშით შემოყავთ დაფაზე. 3. მ:e6 e1ლ+ 4. მფa6! ეშმაკური სვლა. თუ 4. მფb6? მაშინ ლb1+ 5. მფc5 ლc2+ და ყაიმია, ვინაიდან ლაზიერი წარმატებით იცავს თავის მეფეს მუქარებისაგან. 4. ...ლe2+! არ შეიძლებოდა 4. ...ლ:e5 და 5. მb6×! 5. მფb6! ახლა b ხაზზე ქიში აღარ არის, b6 უჯრაც დაბლოკირებულია და უკვე შეიძლება 5. ...ლ:e5. სამაგიეროდ, ინიციატივა თეთრების ხელში გადადის: 6. მe7+ მფd7 7. მf8+! მფd6. ცუდი იყო 7. ...მფ:e7 8. მg6+. შავებს იმედი აქვთ, რომ 8. c8ლ? ლb2+-ის შემდეგ მუდმივ ქიშს გამოაცხადებენ, მაგრამ ამაოდ — 8. c8მ×!



ეტიუდის ფინალი — შამათი სამი მხედრით.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 29 იანვარი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: ცსკა — „კრილია სოვეტოვი" — **19.45 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.30 (2)**; კალათბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: „რეალი" (მადრიდი) — „ჟალგირისი" (კაუნასი). გადაცემა ესპანეთიდან — **24.00 (1)**.

**30 იანვარი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 29 იანვარი.** სპორტული გადაცემა — **17.40.**

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
ღეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06740